ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5226351

ნომერი: AR1794647

თარიღი : 15.12.2020

გაცემის თარიღი : 16.12.2020

გაცნობის თარიღი : 16.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , (ნაკვეთი N40/218);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ გაფრინდაშვილი პ/ნ 54501063609
- ხიზაბავრის 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 დეკემბრის №5203123 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 15 დეკემბერს №AR1794647 განცხადებით მომართა ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 03

დეკემბრის №5203123 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მითითების ნაწილში.
სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 04 ივნისის №4957770 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი №34-ში, (ნაკვეთი: №40/218) №01.14.03.040.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ობიექტი - მაღაზიის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №5115148 ბრძანებით შეთანხმდა სავაჭრო ობიექტი - მაღაზიის არქიტექტურული პროექტი, ხოლო, სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის №5148634 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 21 ოქტომბრიდან 2022 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით.
სამსახურმა, ასევე, დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 16 ნოემბრის №5179099 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.03.040.218) შეთანხმდა სავაჭრო ობიექტი - მაღაზიის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 03 დეკემბრის №5203123 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის 03 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 03 დეკემბრის №5203123 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: განმცხადებელი უთითებს, რომ ბრძანებაში ,,მაღაზიის'' ნაცვლად მითითებულია ,,ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი''.
სამსახურმა, ასევე, დაადგინა, რომ 2020 წლის 25 ნოემბერის №AR1790854 განცხადებით მოთხოვნილ იქნა სამსახურის 2020 წლის 16 ნოემბრის №5179099 ბრძანებით შეთანხმებული მაღაზიის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა. სამსახურმა იმსჯელა საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად სამსახურის 2020 წლის 03 დეკემბრის №5203123 ბრძანების პირველ პუნქტში სავაჭრო ობიექტი - მაღაზიის ნაცვლად დაფიქსირდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 დეკემბრის №5203123 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 დეკემბრის №5203123 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1. გაიცეს: ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი №34-ში (ნაკვეთი: №40/218) შპს „დარიალი“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.040.218) სავაჭრო ობიექტი - მაღაზიის 2020 წლის 16 ნოემბრის №5179099 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა''.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 დეკემბრის №5203123 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 დეკემბრის №5203123 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.